



# INCLUSIVE GROWTH FACTORS OF THE ECONOMY AND THE ROLE OF EDUCATION IN THEM

**ZAIRA GHUDUSHAURI**

Professor of Georgian Technical University,

E.mail: Zaira.Gudushauri@mail.ru

Tel: +995599314092

**IRINE TSIKLAURI**

Doctoral student of Georgian Technical University,

E.mail: Irathisklauri@gmail.com

Tel: +995 591415544

## ABSTRACT

Given that the modern world has faced such a significant challenge as income inequality, which unfortunately has not diminished but increased over the years, existing models of economic growth have come under criticism and it has become necessary to find a new paradigm. Such a paradigm is inclusive economic growth, that is, economic growth with broader population involvement that will reduce poverty and economic inequality.

The article discusses the role of factors of economic growth in all five factors of production growth, however, for the purpose of the study, more attention is paid to the factor of labor and the factor of entrepreneurial ability. The authors express the opinion that both the labor of the employees and the entrepreneurial skills are based on human knowledge, and knowledge is provided by education. The knowledge and competencies accumulated in a person through education are called human capital. And, the higher its quality, the higher the growth of the country's economy. Based on this reasoning, the authors of the article consider human capital, or knowledgeable, educated people as a dominant factor in inclusive economic growth. At the same time, they believe that the delivery of quality education to people and their professional development should not start even during the student years, as it is accepted in Georgia, but during the years of being a pupil. The Scandinavian countries (especially Sweden) have a great experience in this. The authors give recommendations to adopt these experiences.

**Keywords:** Inclusive growth factors of the economy, inclusive education.

THE NEW ECONOMIST / ახალი ეკონომისტი

## ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის ფაქტორები და განათლების როლი მათში

**ზაირა ღუდუშაური**

საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის პროფესორი

ელ.ფოსტა: Zaira.Gudushauri@mail.ru

ტელ: 599 31 40 92

**ირინე წიკლაური**

საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის დოქტორანტი

ელ.ფოსტა: Irathisklauri@gmail.com

ტელ: 591 41 55 44

### ანოტაცია

გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე მსოფლიო დადგა ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე, როგორც არის შემოსავლების განაწილებაში უთანასწორობა, რომელიც სამწუხაროდ, წლების განმავლობაში კი არ მცირდება, არამედ იზრდება, ეკონომიკური ზრდის არსებული მოდელები კრიტიკის ქვეშ მოექცა, და, საჭირო გახდა ახალი პარადიგმის მოძებნა. ასეთი პარადიგმა არის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, ანუ ეკონომიკის ზრდა მოსახლეობის ფართო ჩართულობით, რომელიც შეამცირებს სიღარიბეს და ეკონომიკურ უთანასწორობას.

სტატიაში ეკონომიკური ზრდის ფაქტორების როლში განხილულია წარმოების ზრდის ხუთივე ფაქ-



ტორი, თუმცა, კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მეტი ყურადღება აქვს დათმობილი შრომის ფაქტორს და მენარმული უნარის ფაქტორს. ავტორები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ როგორც დასაქმებულთა შრომას, ისე მენარმულ უნარს ადამიანის ცოდნა უდევს საფუძვლად, ცოდნას კი, განათლება იძლევა. ადამიანში განათლებით დაგროვილ ცოდნას და კომპეტენციებს ადამიანური კაპიტალი ეწოდება. და, რაც მაღალია მისი ხარისხი, მით მაღალია ქვეყნის ეკონომიკის ზრდა. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, სტატიის ავტორები ადამიანურ კაპიტალს, ანუ მცოდნე, განათლებულ ადამიანებს ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის დომინირებად ფაქტორად მიიჩნევენ. ამასთან, მათ მიაჩნიათ, რომ ადამიანებისთვის ხარისხიანი განათლების გადაცემა და მათი პროფესიონალად ჩამოყალიბება სტრუქტურის წლებში კი არ უნდა დაიწყოს, როგორც ეს მიღებულია საქართველოში, არამედ, მოსწავლე ყოფნის წლებში. ამის დიდი გამოცდილება აქვთ სკანდინავიის ქვეყნებს (განსაკუთრებით შვედეთს). ავტორები ამ გამოცდილების გადმოღების რეკომენდაციებს იძლევიან.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის ფაქტორები, ინკლუზიური განათლება.

### შესავალი

ქვეყნის ეკონომიკური ზრდა არის მოსახლეობის ცხოვრების დონის განმაპირობებელი ფაქტორი, რის გამოც, საზოგადოებაში ეს ფენომენი ყოველთვის იწვევდა დიდ ყურადღებას. ამის მიუხედავად, მისდამი საზოგადოების დღევანდელი ინტერესი რამდენადმე განსხვავებულია. პირველი განსხვავება იმაშია, რომ გლობალიზაციამ მოითხოვა ეკონომიკური ზრდის წყაროების გლობალურ დონეზე განხილვა, ხოლო მეორე იმაში, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა უნდა ხდებოდეს არა მხოლოდ მოსახლეობის ერთი ნაწილის, არამედ, შრომისუნარიანი მთელი მოსახლეობის ჩართვით და ამ გზით ზომიერად საკმარისი შემოსავლით მათი უზრუნველყოფით. ამ პოლიტიკას ინკლუზიური სახელმწიფო პოლიტიკა ეწოდება და ეს არის პოლიტიკა, რომელიც დიდ გამოწვევად დგას დღეს საქართველოს ხელისუფლების წინაშე, რადგანაც 2018 წლის მონაცემებით, საქართველოში ირიცხება 1939,9 ათასი ეკონომიკურად აქტიური ადამიანი, ხოლო დასაქმებულია 1694,2 ათასი ადამიანი, ანუ მხოლოდ 87,3 პროცენტი. ამის მიზეზი ის არის, რომ ქვეყანაში არც ინკლუზიური სწავლების პირობებია შექმნილი, და, არც ინკლუზიური დასაქმების პირობები.

მეცნიერები წერენ, რომ ეკონომიკის ზრდის ფენომენი არ არის ახალი, და, ის საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოველთვის იყო იმ მთავარი მიზეზის გამო, რომ ეკონომიკური ზრდის შედეგი აისახება ქვეყნის განვითარებაზე და ადამიანთა ცხოვრების დონის ამაღლებაზე [1, გვ. 90]. ეკონომიკური ზრდა ნიშნავს ქვეყნის მიერ სულ უფრო მეტი პროდუქციის და მომსახურების წარმოებას. აბსოლუტურად იგი მთლიან შიდა პროდუქტის

ანუ ქვეყნის შიგნით წარმოებულ პროდუქტის მოცულობის ზრდაში გამოხატება.

ეკონომიკური ზრდის თეორია ჩამოყალიბდა XX საუკუნის შუახანებში და მის შესახებ სხვადასხვა გაგებაც აღმოცენდა. „ზოგადად ეკონომიკური ზრდა განიხილება ვინრო და ფართო გაგებით. ვინრო გაგებით ქვეყნის ეკონომიკური ზრდა გამოიხატება ერთ მოსახლეზე მოსული, როგორც მთლიანი ეროვნული, ისე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში, ფართო გაგებით კი, საკუთრების სტრუქტურაში და სოციალურ ინსტიტუციებში ცვლილების პროცესში, რომელიც მოასწავებს ზრდის ერთი სტადიიდან მეორეში გადასვლას“ [2, გვ. 235].

რადგან ეკონომიკური ზრდა პრაქტიკულად ძირითადად ვინრო გაგებით განიხილება, ამიტომ დღეს მას მეცნიერები თითქმის ერთნაირ განმარტებას აძლევენ, რომ ეს არის „ქვეყნის მიერ სულ უფრო მეტი პროდუქციის და მომსახურების წარმოება“. მცირეოდენი ინტეგრეტაციებით ასეა ის ასახული როგორც უცხოურ ენაზე არსებულ, ისე ქართულ მაკროეკონომიკის სახელმძღვანელოებში.

მიუხედავად ეკონომიკური ზრდის შეფასებისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის გარკვეული ნაკლოვანებებისა (კერძოდ, ის, რომ ეკონომიკურ ზრდას შეიძლება ახლავდეს მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა, რომ მასში არ აისახება სოციალური მახასიათებლები და ა. შ.), დღეს, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, მაინც რეალურ მთლიან შიდა პროდუქტის სულადობრივ მოცულობაში გამოიხატება. თუ ამ მოცულობის ზრდის ტენდენცია არსებობს, მაშინ ამბობენ, რომ ქვეყანა ეკონომიკურად იზრდება, თუ არადა, არ იზრდება.



საქართველოს ეკონომიკა ზრდადია (2010 წელს - 6,2%, 2015 წელს - 2,9%, 2016 წელს - 2,8%, 2017 წელს - 5,0%, 2018 წელს - 4,9%, 2019 წელს - 5,1%), მაგრამ ქვეყნის სიღარიბიდან გამოსაყვანად, უფრო მეტი ზრდა არის საჭირო. ამასთან, ეკონომიკის არსებული ზრდით მიღებული სიკეთეც ყველაზე თანაბრად არ ნაწილდება, რადგან, მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევრად და რჩენილი და ეკონომიკურ საქმიანობაში არ მონაწილეობს. ამიტომ არის, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაშიც და პრაქტიკაშიც, წინა პლანზე წამოიწია ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის საკითხმა ანუ ზრდის მიღწევამ ქვეყნის საქმიანობაში მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობით.

ამ კუთხით ჩვენთვის საინტერესო გახდა გამოგვეკვლია უპირატესად წარმოების რომელი ფაქტორით შეიძლება ეკონომიკის ინკლუზიური ზრდა, და, განათლება და ცოდნა, ანუ განათლებული ადამიანი (იგივე ადამიანური კაპიტალი) არის თუ არ არის ეს ფაქტორი.

ვაკეთებთ რა ერთგვარ დაშვებას, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა-განვითარების ფაქტორები, ეს იგივე წარმოების ფაქტორებია, ვუშვებთ ამ ფაქტორების კლასობრივი და არაკლასობრივი გაგებების არსებობასაც. ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე ჩვენთვის საინტერესოა მისი არა კლასობრივი, არამედ, ზოგადსაკაცობრიო მიდგომა, რომელიც თავდაპირველად სამ ფაქტორს (მინა, შრომა, კაპიტალი), შემდეგ ოთხ ფაქტორს (მინა, შრომა, კაპიტალი, მენარმული უნარი), ხოლო შემდეგ, ხუთ ფაქტორს (მინა, შრომა, კაპიტალი, მენარმული უნარი, სახელმწიფოს ეკონომიკური როლი) აღიარებს [3, გვ. 52].

ეკონომიკური ზრდის წყაროებზე მრავალი უცხოური გამოკვლევები არსებობს (ჯ. შუმპეტერის, ჯ. კეინის, სოლოუს, დ. უეილის, კ. ჰაინეს და სხვების). არსებობს ქართველი მეცნიერების (რ. აბესაძის, ნ. ხადურის, ე. მექვაბიშვილის, ვლ. პაპავას, რ. ასათიანის, ე. ბერიძის და სხვების) კვლევებიც. ყველა ისინი ეკონომიკური ზრდის წყაროებად (ფაქტორებად) ძირითადად ასახელებენ წარმოების შემდეგ ფაქტორებს - კაპიტალს, შრომას, ბუნებრივ რესურსებს (მ. შ. მინას) და მენარმულ უნარს [4, გვ. 86]. ჯ. შუმპეტერი ეკონომიკის განვითარების ძირითად ფაქტორად ინოვაციურ საქმიანობას და მენარმოებასაც თვლიდა, ქართველი

მეცნიერი რ. აბესაძე ამ ფაქტორების გარდა, ცალკე ასახელებს ეკოლოგიურ ფაქტორს და საგარეო ფაქტორს (გლობალიზაციას).

მეცნიერი ვლ. პაპავა იხილავდა რა წარმოების „დომინირებადი“ ფაქტორების კონცეფციას, რომელიც წარმოების ფაქტორების თეორიის ერთ-ერთი შედარებით თანამედროვე ვერსიაა, რომლის ავტორები ს. ეილონი, ბ. გოლდი და ი. სეზანი არიან [5, გვ. 64-66], მან, მეხუთე ფაქტორად შემოთავაზებული სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის დომინირებად ფაქტორად არსებობის შესაძლებლობაც წარმოიდგინა [6, გვ. 188].

ჩვენი აზრით, ეს შესაძლებლობა ალბათ, იყო გლობალიზაციამდე, ანუ როცა სუვენერული სახელმწიფოები დამოუკიდებლად მართავდნენ თავის ქვეყნებს. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა და გლობალიზაციის ინტენსიური პროცესიდან გამომდინარე ბევრი ცვლილებებიც მოხდა. უპირველესად, თვით ეკონომიკის ძირითადი რგოლი - წარმოება და მომსახურება - გამოვიდა ცალკეული ქვეყნების ეროვნული საზღვრებიდან და ნებისთ თუ უნებლიედ, გლობალურ ეკონომიკაში ჩაერთო. ეს ჩართულობა ზოგიერთ ქვეყანაში სუსტია, ზოგან კი - ძლიერი. საქართველო ჯერ-ჯერობით სწორედ სუსტად გლობალიზებულ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, მაგრამ გლობალიზაციის პროცესის მსოფლიო ტემპი და თვით საქართველოს საერთაშორისო სამთავრობო პოლიტიკა იმის მიმნიშნებელია, რომ მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ჩართულობა დღითიდღე გაღრმავდება და აი, მაშინ (თუ უკვე არა დღეს), საქართველოს, როგორც სუვენერული სახელმწიფოს ეკონომიკური როლი, როგორც წარმოების მეხუთე ფაქტორი, დომინირებადი ვეღარ იქნება. ამის სიმპტომები საქართველოში უკვე არის. ამის დასადასტურებლად თუნდაც 2014 წლის 27 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებაც კმარა, რომლის ძალითაც ევროსაბჭომ საქართველოს ხელისუფლებას ეკონომიკის ყველა დარგში და ქვედარგში შესთავაზა ე. წ. „რეკომენდაციები“, რომელთა შესრულებაზე საქართველოს ხელისუფლებამ ვალდებულება აიღო და ასრულებს კიდევ მათ [7, გვ. 103-107]. ამით იმის თქმა გვინდა, რომ საქართველოს მთავრობამ ეს რეკომენდაციები საზოგადოების განსჯის საგნად კი არ აქცია, არ-



ამედ, დაივალა მათი შესრულება.

დღეს არსებული ასეთი შეთავაზებები, ევროკავშირიდან იქნება იგი თუ აშშ-დან, ცხადია, აკნინებს სუვერენული სახელმწიფოს ეკონომიკურ ნებას, ანუ ეკონომიკურ როლს თავისივე ქვეყნის ეკონომიკის მართვაში, და, აძლიერებს მასზე საერთაშორისო გავლენას. დღეს ამ მდგომარეობაში იმყოფება მსოფლიოს თითქმის ყველა ლარიბი ქვეყანა. ამ ქვეყნებში არა საკუთარი ხელისუფლების, არამედ მსოფლიოს ლიდერი ქვეყნების ნება გაბატონდა.

ასე რომ, დღეს, საქართველოს ეკონომიკური ზრდის ძირითად ფაქტორებად შეიძლება ჩავთვალოთ მხოლოდ ოთხი ფაქტორი, კაპიტალი, შრომა, ბუნებრივი რესურსები (მ. შ. მინა) და მენარმული უნარი. ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ჩვენ არ შევუდგებით ყველა აქ ჩამოთვლილი ფაქტორების განხილვას, არამედ, ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ შრომის და მენარმული უნარის ფაქტორებზე.

აქედანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე მათგანი ადამიანის უნარის გამომხატველია. პირველი - დასაქმებული ადამიანის შრომის უნარის. მეორე - ადამიანის მენარმული უნარის, ორივე მათგანს ადამიანის ცოდნა უდევს საფუძვლად, რომელიც თავის მხრივ, განათლებით იქმნება და შემდეგ ადამიანში გროვდება. ამ ცოდნას და უნარს ადამიანისეული კაპიტალი ეწოდება, და რადგან, დღევანდელი ეკონომიკა მოითხოვს ადამიანისეული კაპიტალის მაღალ ხარისხს, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს უახლეს ტექნიკა-ტექნოლოგიებზე, ინოვაციების შექმნასა და დანერგვაზე, ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენებაზე და ა. შ., უნდა ვიფიქროთ, რომ ეკონომიკური ზრდის ფაქტორებს შორის სწორედ ადამიანისეული კაპიტალი ანუ მცოდნე, განათლებული, კრეატიული ადამიანი არის ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის დომინირებადი ფაქტორი.

ინოვაციური ქვეყნების პრაქტიკამ, რომლებიც კოლოსალურ სიდიდის ინვესტიციებს აბანდებენ ინოვაციებში, დაარწმუნა კაცობრიობა, რომ ეკონომიკის უწყვეტ ზრდას ტექნიკური პროგრესი განაპირობებს [8, გვ. 42]. მაგრამ ისიც, ცნობილია, რომ ტექნიკა-ტექნოლოგიურ სიახლეებს ადამიანები, კერძოდ, შემოქმედებითი (კრეატიული) ადამიანები ქმნიან.

გლობალური ინოვაციური ინდექსით მსოფლიოში პირველ ადგილზე მყოფი შვეიცარია, რომელიც სულაც არ არის მდიდარი წარმოების სხვა ფაქტორებით - მიწით, წიაღისეულით, სათბობ-ენერგეტიკული ბაზით და ა. შ. - სწორედ, ინოვაციური ტექნოლოგიების მეშვეობით მოწინავე სამრეწველო ქვეყანა გახდა. ეს ქვეყანა განათლებასა და კვლევებზე მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ს ხარჯავს [9, გვ. 21]. ამ ციფრმა შვეიცარია მაღალი სამეცნიერო პოტენციალის ქვეყნად აქცია. ამ ციფრის უკან დგას შვეიცარიის ძველი და ახალი თაობის მეცნიერების და მკვლევარების მთელი ელიტა, რომელთა განათლებაზე ქვეყნის მთავრობა სახსრებს არ ზოგავს, რადგან იცის, რომ ეკონომიკის ზრდის ნებისმიერი სხვა ფაქტორის - მინა იქნება ეს თუ ფულადი კაპიტალი, - ამოქმედება, ანუ „გაცოცხლება“ მხოლოდ ადამიანის მეშვეობით შეიძლება და რამდენადაც უფრო მცოდნე და განათლებული იქნება ეს ადამიანი, იმდენად მაღალნაყოფიერად ამოქმედებს იგი მას.

ასე რომ, სწორედ ადამიანური კაპიტალის ხარისხობრივი ზრდა წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის და სრულყოფის მიმართულებით ქვეყნის მოდერნიზაციის უმთავრეს ფაქტორს. „თუ კაპიტალიზმამდელ ეკონომიკურ სისტემაში, - წერს ქართველი მეცნიერი რ. აბესაძე, - ძირითადი ეკონომიკური ფაქტორი იყო მინა, კაპიტალიზმის დროს კი - კაპიტალი, ახალი (პოსტინდუსტრიული) ეკონომიკის პირობებში ძირითადი ეკონომიკური ფაქტორი არის ცოდნა“ [4, გვ. 66]. ცოდნას განათლება იძლევა, მცოდნე ადამიანი კი კრეატიულ, შემოქმედებით ადამიანად ყალიბდება, რომელსაც დამოუკიდებლად შეუძლია ინოვაციების შექმნა და დანერგვა. ჯერ კიდევ, ილია ჭავჭავაძეს აქვს ნათქვამი: „ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ლარიბია, არამედ, იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული კაცები არ ჰყავს“. მცოდნე, გონებაგახსნილი ადამიანები კრეატიულად აზროვნებენ. კრეატიულობა წარმატებული საქმიანობის გარანტიაა თანამედროვე გლობალურ სამყაროში. „თუ გვინდა, რომ თანამედროვე სწრაფად ცვალებად კონკურენტულ სამყაროში ღირსეულად დავმკვიდრდეთ, და თუ გვსურს გავხდეთ თანამედროვე პროგრესული ქვეყანა, არ უნდა ვიყოთ მხოლოდ მომხმარებელი ერი, რადგან, ვინც არ ქმნის ახალს, ის მხოლოდ სხვის მიერ

შექმნილს მოხმარს, ამით კი ის „სხვა“ ძლიერდება და ვითარდება, თვითონ კი სუსტდება“ [10, გვ. 20]. დღეს, საქართველო მხოლოდ მომხმარებელი ქვეყანაა. პირველადი მოხმარების საქონლის 80%, ის საქონელიც კი, რომლის წარმოების ტრადიციაც გვაქვს და საწარმოო ბაზაც, იმპორტით შემოდის.

ინოვაციური განვითარებისკენ საქართველოს გარკვეული შემობრუნება 2012 წლის 1 ოქტომბრიდან მოხდა, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა პარტია „ქართული ოცნება“. ამ მიმართულებით მათ გარკვეული „მარაგნაკეთი“ შექმნეს (დაფუძნდა „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“, ორი ინოვაციური ცენტრი, სამი ტექნოპარკი და ა. შ.), მაგრამ არც ტემპია საკმარისი და არც დაფინანსების მოცულობა. საქართველოში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობაზე 2018 წელს დაიხარჯა 63 800 ათასი ლარი, ხოლო 2019 წელს 64 100 ათასი ალრი [11]. ჩვენი აზრით, იმ სამუშაოთა შესრულებისთვის, რაც საქართველოს ინოვაციურ განვითარებას სჭირდება, ეს თანხები არის ძალიან მცირე. ამასთან, ქვეყნის ინოვაციური განვითარებისთვის დაგეგმილი ყველა ღონისძიება სათანადოდ დაფინანსებულ განათლებას უნდა დაეფუძნოს. 2019 წელს, საქართველოს ბიუჯეტიდან განათლებაზე დაიხარჯა 1484618,0 ათასი ლარი (მ. შ. საშუალო განათლებაზე 750884,0 ათასი ლარი, უმაღლეს განათლებაზე 160165,0 ათასი ლარი, პროფესიულ განათლებაზე 52660,0 ათასი ლარი და ა. შ.). პროცენტულად მან მთელი ბიუჯეტური ხარჯების 12,2% შეადგინა. ეს მაშინ, როდესაც გაერთიანებულ სამეფოში და ნორვეგიაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან თითქმის ამდენივე მხოლოდ უმაღლეს განათლებაზე იხარჯება (გაერთიანებულ სამეფოში 11,3%, ნორვეგიაში - 11,2%).

ჩვენ ვეთანხმებით მეცნიერ რ. აბესაძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ადამიანისეული კაპიტალის სათანადოდ ფორმირების მოთხოვნის დაყენებისას, ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უნდა გავითვალისწინოთ. მართალია, მეცნიერი, როცა ამბობს, რომ „შეუძლებელია ადამიანისეული კაპიტალის ფორმირების და გამოყენების პირობები განვითარებულ და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნების ტოლფასად ჩავთვალოთ“ [4, გვ. 66], მაგრამ, არ ვეთანხმებით პატივცემულ მეცნიერს იმაში, რომ რადგან საქართველო, ღარიბი ქვეყანაა და ბიუჯეტის რესურ-

სებიც შეზღუდულია, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის ყველაზე აუცილებელზე უარი ვთქვათ. ეს აუცილებელი კი არის ინოვაციები, რომელთა შექმნა ხარისხიან განათლებას მოითხოვს. ამიტომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხარისხიანი განათლება გადამწყვეტი ფაქტორია საქართველოს ეკონომიკის ინკლუზიური განვითარებისთვის.

### დასკვნა

ცნობილი ფაქტია, რომ კონკურენტუნარიან პროფესიონალად ადამიანი უმაღლესი განათლების დონეზე ყალიბდება. მაგრამ, ისიც ხომ ფაქტია, და, ამას იაპონელი მეცნიერები ასაბუთებენ, რომ ადამიანში პროფესიის არჩევა, უფრო ზუსტად პროფესიისადმი მიდრეკილების გამომჟღავნება, ადრეულ ასაკში, სწორედ სკოლის ასაკში ხდება. ამიტომ არის, რომ იაპონიაში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეებში ღვთით ბოძებული ნიჭის და მის საფუძველზე პროფესიისადმი მიდრეკილების გამომჟღავნებას. ამ საკითხზე მუშაობა ე. წ. „ადრეული განვითარების“ სკოლებშივე იწყება. ასეთი სკოლები მრავლად გახსნეს ჩინეთშიც. რაც შეეხება ევროკავშირში შემავალ გამორჩეულად მოწინავე სკანდინავიის ქვეყნებს, რომლებსაც კეთილდღეობის ქვეყნებსაც უწოდებენ, იქ, ამ მიზნით, ანუ მოსწავლეში პროფესიული მიდრეკილების გამოვლინების მიზნით, სპეციალური პროგრამებია ამოქმედებული. მაგალითად, ნორვეგიის სკოლებში მერვე კლასიდან სწავლებაში შემოდის ახალი საგნები „პროფესიული ორიენტაცია“ და „ეკონომიკა“. იქამდის კი, ანუ პირველიდან მეშვიდე კლასამდე ნორვეგიულ სკოლებში სავალდებულო საგნების პარალელურად ბავშვებს ასწავლიან გუნდში მუშაობას, გადანყვეტილების ერთობლივ მიღებას [12, გვ. 52]. ნორვეგიაში სკოლაში შესვლის პირველ დღეებიდანვე ბავშვებს უნერგავენ აზრს იმის შესახებ, რომ პიროვნება ვითარდება მხოლოდ სხვა პიროვნებებთან ურთიერთობით და მისი მომავალი წარმატება ამ ურთიერთობაზე არის დამოკიდებული. ამიტომ, აქ, ამ ქვეყანაში, სწავლება ისე არის ორგანიზებული, რომ ბავშვებმა ისწავლონ ამა თუ იმ გადანყვეტილებების ერთობლივი მიღება და მათი შედეგების ერთობლივი შეფასებაც. ეს ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ ბავშვებს სკოლის ასაკშივე ჩამოუყალიბდეთ



საკუთარი შესაძლებლობების ოპტიმისტური შეფასება.

შვედეთის სკოლებში მოქმედებს „ნ-დან 11 ნლამდე მოსწავლეთა პროგრამა“, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეებში ინოვაციური უნარების გამომუშავებაზე. ამ ქვეყანაში ეს პროგრამა შეიქმნა მოსწავლეებში საკუთარ თავში დარწმუნების და პრობლემების გადაწყვეტის ჩვევების გამოსამუშავებლად. ამ პროგრამის შესრულებისთვის სკოლებში კვირაში ერთი დღეა გამოყოფილი. პროგრამაში მოსწავლეებთან ერთად ჩართული არიან მშობლები და მენარმეებიც [13, გვ. 282].

შვედეთში ასევე მოქმედებს პროგრამა „ახალგაზრდული მიღწევები“. იგი 10-დან 20 ნლამდე ახალგაზრდობისთვისაა განკუთვნილი, ანუ მასში ჩართვის უფლება აქვთ მოსწავლეებსაც და სტუდენტებსაც. ამ პროგრამის მიზანია ახალგაზრდობისთვის ბიზნეს-საქმიანობის სწავლება, გამოცდილების გაზიარება და საკუთარი სამენარმეო საქმიანობის მხარდასაჭერად წელიწადში ერთხელ ფინანსური დახმარების განევა. ამ ქვეყანაში მოსწავლეებში კრეატიული პოტენციალის ამაღლების მიზნით ხორციელდება სკოლებსა და კომპანიებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა. მაგალითად, ცნობილია, რომ უმცროსი კლასის მოსწავლე-გამომგონებელთა მოტივაციის ამაღლების მიზნით შვედური კომპანია „FINNUPP“ ყოველ სამ წელიწადში ერთხელ შვედეთში ყველაზე დიდ

შეჯიბრებას ატარებს. აუცილებლად მოსახსენებელია შვედური არაკომერციული ორგანიზაცია - „ახალგაზრდა მენარმეობა“, რომელიც საშუალებას აძლევს უფროსკლასელებს, სასწავლო პერიოდშივე იქონიონ საკუთარი ბიზნესი, როგორც სასკოლო პროგრამის ნაწილი. შვედეთის მოსწავლეთა 80% სწორედ აქ იძენს ბიზნესის მართვის პრაქტიკულ ჩვევებს [13, გვ. 283].

სხვა მრავალ პროგრამებს შორის, რომლებიც ახალგაზრდობაში შრომის უნარის, ძირითად შემთხვევებში კი, შემოქმედებითი უნარის განვითარებაზე არის ფოკუსირებული, გამორჩეულია პროგრამა „იკვლიე და იზარდე“. ამ პროგრამაში ჩართვის უფლება ყველას აქვს, ვინც თავის თავში ხედავს ზრდის სურვილს საქმეში, კერძოდ, მცირე და საშუალო ბიზნესის დაწყება-განვითარებაში. ისინი აქ დაფინანსებასაც იღებენ და ასეთ ბენეფიციარებს შორის ბევრი მაღალი კლასის მოსწავლეა. რაიმე ამის მსგავსი საქართველოს სკოლებში არ ხდება. მართალია, 2019 წლის სექტემბრიდან სკოლებში დაკანონდა საგნის - „მენარმეობის საფუძვლები“ - სწავლება, მაგრამ, მისი კრედიტების მცირე მოცულობა და მის სწავლებაშიც, რაღაცა „მეორეხარისხოვანი“ მიდგომა, ვერ მოგვცემს იმ ეფექტს, და ვერ განაწყობს მოსწავლეებს მენარმეობის გზაზე დასაყენებლად. არადა, ეს საქართველოში მეტად საჭიროა. ჩვენს ახალგაზრდობას პრაქტიკული განათლება აკლიათ.

#### REFERENCES:

1. Shengelia T. Economic growth: qualitative and quantitative determinism (methodological aspect), Zh. "Economy and Business", 2020, #2, Vol. XII.
2. Lemonjava P., Abzalava A. Principles of Economics, Tbilisi, 2009.
3. Adeishvili G., Asatiani R. Economic Theory, Tbilisi, 1998.
4. Abesadze R. Economic Development, Tbilisi 2018.
5. Eilon S., Gold B., Cezan Y. System of indicators of production efficiency, M., "Economics", 1980.
6. Papava VI. Political Economy of Post-Communist Capitalism and the Economy of Georgia, Tbilisi, 2003.
7. Daghelishvili N. Future Perspectives of Georgia in the Context of the Association Agreement, Zh. "Economy and Business", #1, 2015.
8. Sulxanishvili L. Foreign Experience in Using Technological Innovations in Business and prospects for its implementation in Georgia, Dissertation, 2020.
9. Belov I.I. peculiarities of industrial policy of Switzerland, Russian foreign Economic Bulletin, No. 7, 2014.

10. Jolia G. Creative Development: Education, Knowledge, Action, Tbilisi, 2016.
11. Information of the state budget of Georgia for 2018 and 2019.
12. Orjonikidze N. World Educational Systems, Tbilisi. 2009.
13. Javakhishvili R. Swedish National Innovation System: Peculiarities of formation and functioning, TSU, Paata Gugushvili Institute of Economics, Collection of Scientific Papers, X, dedicated to the 100<sup>th</sup> anniversary of TSU, Tbilisi, 2017.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. შენგელია თ. ეკონომიკური ზრდა: თვისობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრულობა (მეთოდოლოგიური ასპექტი), ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2020, #2, ტ. XII.
2. ლემონჯავა პ., აბრალავა ა. ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2009.
3. ადეიშვილი გ., ასათიანი რ. ეკონომიკური თეორია, თბ., 1998.
4. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება, თბ., 2018.
5. Эйлон С., Голд Б., Сезан Ю. Система показателей эффективности производства, М., „Экономика“, 1980.
6. პაპავა ვლ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2003.
7. დაღელიშვილი ნ. საქართველოს სამომავლო პერსპექტივები ასოცირების შეთანხმების კონტექსტით, ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, #1, 2015..
8. სულხანიშვილი ლ. ბიზნესში ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენების უცხოური გამოცდილება და მისი დანერგვის პერსპექტივები საქართველოში, დისერტაცია, 2020.
9. Белов И. И. Особенности промышленной политики Швейцарии, Российский внешне-экономический вестник, №7, 2014,
10. ჯოლია გ. კრეატიული განვითარება: განათლება, ცოდნა, ქმედება, თბ., 2016,
11. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის 2018 და 2019 წლების ინფორმაცია.
12. ორჯონიკიძე ნ. მსოფლიოს საგანმანათლებლო სისტემები, თბ., 2009.
13. ჯავახიშვილი რ. შვედეთის ეროვნული ინოვაციური სისტემა: ფორმირებისა და ფუნქციონირების თავისებურებები, თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომების კრებული, X, ეძღვნება თსუ-ს 100 წლისთავს, თბ., 2017.